ელექტროენერგიის ბაზრის მიმოხილვა

ელექტროენერგეტიკისა და გაზის ბაზრის წესებში ცვლილებები შევიდა. 2016 წლის ოქტომბერში ენერგოგაერთიანების ქარტიის ხელმოწერით, საქართველომ აიღო ენერგეტიკის დარგში საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის სტანდარტებთან სინქრონიზების ვალდებულება. ამ მიმართულებით, ქვეყნის მიზანია კონკურენტულ და გამჭვირვალე ბაზარზე გადასვლა. 2017 წლის 30 ივნისს, საქართველოს კანონში „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ შევიდა ცვლილებები, რომლითაც გარკვეული ვადები დაწესდა ბაზრის ეტაპობრივად გახსნაზე და შეივსო კანონქვემდებარე აქტებში არსებული დანაკლისები. ბუნებრივი აირის ბაზრისთვის ცვლილებები ძირითადად ტექნიკური ხასიათისაა. უნდა განვითარდეს „ბუნებრივი აირის ქსელის წესები“, რომელიც დაარეგულირებს ბაზრის თითოეული მონაწილისათვის მიწოდების ტექნიკურ ასპექტებს. ქსელის წესების ძალაში შესვლა მოსალოდნელია სემეკის მიერ მისი დამტკიცების შემდეგ, 2018 წლის 1 სექტემბრამდე. ელექტროენერგიის ნაწილში ცვლილებები უფრო მნიშვნელოვანია, რადგან შედეგად იზრდება დერეგულირებულ ბაზარზე მონაწილეთა რაოდენობა, რაც სტიმულირებას გაუწევს კონკურენტულ ვაჭრობას.

ელექტროენერგიის ბაზრის მონაცემები	
ივნისში საბალანსო ელექტროენერგიის ფასი საქართველოში*	5.1 აშშ ცენტი კვტ.სთ-ზე
ივნისში ელექტროენერგიის საბაზრო ფასი თურქეთში*	4.3 აშშ ცენტი კვტ.სთ-ზე
ივნისში ექსპორტირებული ელექტროენერგიის საშუალო ფასი	N/A
ივნისში იმპორტირებული ელექტროენერგიის საშუალო ფასი**	0.0 აშშ ცენტი კვტ.სთ-ზე
ივნისში გარანტირებული სიმძლავრის საფასური	0.2 აშშ ცენტი კვტ.სთ-ზე
შიდა მოხმარების ცვლილება 6თ17, კვტ.სთ	6.9%
ელექტროენერგიის ექსპორტის ცვლილება 6თ17, კვტ.სთ	7.36%
თურქეთში ექსპორტირებული ელექტროენერგიის ცვლილება 6თ17, კვტ.სთ	-10.79%

**საშუალო გაცვლითი კურსი ივნისში GEL/US$ = 2.4116; TRY/US$ = 3.519*
***ივნისში იმპორტირებული ელექტროენერგიის რაოდენობა უმნიშვნელო იყო (0.004გვტ.სთ)*

ელექტროენერგეტიკული ბაზრის დერეგულირების დონე გაიზრდება 2018 წლიდან. ამჟამად სემეკის მიერ რეგულირდება ყველა თბოსადგური, ასევე ყველა ჰესი, რომელიც 2008 წლის 1 აგვისტომდე აშენდა და რომლის დადგმული სიმძლავრე 13 მგვტ-ს აღემატება. რეგულირების ქვეშ მყოფ სადგურებს არ აქვთ უფლება გაყიდონ ელექტროენერგია წინასწარ დადგენილ ზღვარზე მაღალ ფასად. „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ კანონში შესული ცვლილებების მიხედვით, დერეგულირების ზღვარი 13მგვტ.-დან 40 მგვტ.-მდე აიწევს 2018 წლის 1 იანვრიდან. ჩვენი პროგნოზის მიხედვით, აღნიშნული ცვლილება გაზრდის დერეგულირებული სადგურების წილს ჯამურ დადგმულ სიმძლავრეში 15.5%-დან 20.5%-მდე, ხოლო მათი წლიური გამომუშავება 2018-2019 წლებში მიაღწევს 3.1 მილიარდ კვტ.სთ.-ს (2016 წლის ჯამური მიწოდების 26.0%), რომელიც ბაზარს მიეწოდება არარეგულირებულ ფასად. აღსანიშნავია, რომ დერეგულირებული სადგურების 77.6%-ს აქვთ გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებები (PPA) ესკოსთან. შესაბამისად, დერეგულირებული სადგურების გენერაციის მნიშვნელოვანი ნაწილი გაიყიდება ესკოს გავლით წინასწარ განსაზღვრულ ფასად და შესაბამის ხელშეკრულებაში შეთანხმებული პერიოდების განმავლობაში.

პირდაპირი მომხმარებლების მიერ მოხმარებული ელექტროენერგია ჯამური მოხმარების მეოთხედს გადააჭარბებს. პირდაპირი მომხმარებლები ელექტროენერგიას პირდაპირ მომწოდებლებისგან შეისყიდიან, მათთან შეთანხმებულ ფასად, ძირითადად ყოველთვიურად. პირდაპირი მომხმარებლები ამ გზით გვერდს უვლიან სადისტრიბუციო კომპანიებს, თუმცა ამავდროულად უწევთ მიწოდებასთან დაკავშირებული მომსახურების საფასურის გადახდა. „ელექტროენერგეტიკის და ბუნებრივი გაზის შესახებ“ კანონში შესული ცვლილების მიხედვით, 2018 წლის პირველი მაისიდან, მაღალი ძაბვის (35კვ და ზევით) ელექტროგადამცემ ხაზზე დაერთებული ყველა მომხმარებელი ავტომატურად დარეგისტრირებული იქნება პირდაპირ მომხმარებლად. აღნიშნული ცვლილება პირდაპირი მომხმარებლების რიცხვს გაზრდის 2-დან 60-ზე მეტ კომპანიამდე, რომელთა ჯამური წლიური მოხმარება იქნება მინიმუმ 3.1 მილიარდი კვტ.სთ. (2016 წლის ჯამური მოხმარების 28.2%). სხვა კომპანიებისთვის ნებაყოფლობითი რეგისტრაციის უფლება ძალაში დარჩება. პირდაპირ მომხმარებელთა რაოდენობის გაზრდა წაახალისებს დერეგულირებულ ბაზარზე კონკურენტულ ფასებში ვაჭრობას. მეტიც, ასეთმა საკანონმდებლო ცვლილებებმა შესაძლოა ხელი შეუწყოს ბაზარზე ელექტროენერგიის გადამყიდველების (ე.წ. ტრეიდერი) გაჩენას. ტრეიდერები მომხმარებელს სხვადასხვა მომსახურებას თავაზობენ, მათ შორის ფიქსირებული ფასის ან ერთიანი გადახდის კონტრაქტებს, რითაც, საბოლოო ჯამში, სარგებელს პირდაპირი მომხმარებლები ნახავენ.

სემეკმა ცვლილებები შეიტანა ბუნებრივი აირის ტარიფებში. სამომხმარებლო ტარიფების გადაანგარიშება შეეხო ბუნებრივი აირის გამანაწილებელ სამ უმსხვილეს კომპანიას, რომელთა წილმაც 2016 წლის ჯამური მიწოდებაში 89.8% შეადგინა. ძველი ტარიფები განსხვავდებოდა მიწოდების რეგიონისა და ბუნებრივი აირის წნევის მიხედვით, ხოლო ახალი მეთოდოლოგიით გაანგარიშებული ტარიფები სტანდარდიზირებულია და ეფუძნება გამჭვირვალე სატარიფო სტრუქტურას. 2013 წლის მარტიდან, გამანაწილებელი კომპანიები აგრეთვე ღებულობდნენ სახელმწიფოსგან 5 თეთრი/მ^3-ს ოდენობით სუბსიდიას, რომელიც ახლა აისახა ბუნებრივი აირის მიწოდების საფასურში. ბუნებრივი აირის საბოლოო სამომხმარებლო ტარიფი შედგება სამი კომპონენტისგან: ტრანსპორტირება, ბუნებრივი აირის ღირებულება, განაწილება. ტრანსპორტირების ტარიფი, რომელიც უცვლელი იყო ბოლო 17 წლის განმავლობაში, საშუალოდ მ^3-ზე 0.5 თეთრით გაიზარდა და 1.884 თეთრი/მ^3 შეადგინა ყველა მომხმარებლისთვის. ბუნებრივი აირის ღირებულება, სახელმწიფოს სუბსიდიის გათვალისწინებით, გახდა 26.8 თეთრი/მ^3-ზე (სახელმწიფო პირების განცხადებით, 12.5%-ით შემცირდა). ტარიფის ბოლო კომპონენტი ითვალისწინებს თითოეული გამანაწილებელი კომპანიის საინვესტიციო ხარჯებს და საბოლოო სამომხმარებლო ტარიფებში განსხვავებების ერთადერთ მიზედად რჩება. 2017 წლის 20 ივლისიდან 2018 წლის 31 დეკემბრამდე, სამომხმარებლო ტარიფი კუბურ მეტრზე (დღგ-ს ჩათვლით) გახდა:

ნინო პაპავა
საინვესტიციო კვლევების დეპარტამენტის უფროსი | n.papava@gt.ge | +995 322 401 111 ext.4693
მარიამ ჩახვაშვილი
ანალიტიკოსი | mchakhvashvili@gt.ge | +995 322 401 111 ext.7897

გთხოვთ იხილოთ მნიშვნელოვანი შეტყობინება დოკუმენტის ბოლო გვერდზე.

46.153 თეთრი „ყაზტრანსგაზ-თბილისი“-სთვის (+1.2%), 56.940 თეთრი „სოკარ ჯორჯია გაზი“-სთვის (საშუალოდ +26.7%) და 57.011 თეთრი „საქორგგაზის“-სთვის (საშუალოდ +30.5%). აღსანიშნავია, რომ ეს ცვლილებები ეხება მხოლოდ რეგულირებულ მომხმარებლებს, რომლებიც ბაზრის დაახლოებით 47%-ს შეადგენენ. მომხმარებლები, რომლებიც ბუნებრივ აირს ღებულობენ რეგიონებში 2007 წლის სექტემბრიდან, ხოლო თბილისში 2008 წლის აგვისტოდან, არიან დერეგულირებულები და იხდიან გამანაწილებელი კომპანიის მიერ დამოუკიდებლად დაწესებულ საფასურს (საშუალოდ 50-63 თეთრი/მ^3). ენერგეტიკის სამინისტრომ გააჟღერა დერეგულირების გაუქმების შესაძლებლობა, რაც მთლიან ბაზარს დაუქვემდებარებდა ერთიან სატარიფო სტრუქტურას.

გრაფიკი 1: ბუნებრივი აირის განაწილების ლიცენზიანტების საბაზრო წილები, 2016



წყარო: სემეკი

გრაფიკი 2: ბუნებრივი აირის ტარიფის სტრუქტურა განაწილების ლიცენზიანტებისთვის, თეთრი/მ^3



წყარო: სემეკი

კახეთის ენერგოდისტრიბუცია საჯარო აუქციონზე 21.7 მილიონ ლარად გაიყიდა. მყიდველი უმსხვილესი სადისტრიბუციო კომპანია, ენერგო-პრო ჯორჯიაა, რომელმაც ბაზრის წილი 60.2%-დან 64.6%-მდე გაზარდა და თბილისის გარეთ ელექტროენერგიის ერთადერთი მიმწოდებელი გახდა. კახეთის ენერგოდისტრიბუცია 2011 წლის შემდეგ გაკოტრების რეჟიმშია და მას აღსრულების ეროვნული ბიუროს წარმომადგენელი მართავს. იქამდე, 2008-2011 წლებში, კომპანიის მფლობელი იყო ლიტვური კონცერნი „ახემა-გრუპემა“. კომპანიის ვალდებულებები ჯამურად 21 მილიონ ლარს უტოლდება, რისი დაფარვაც აუქციონზე გადახდილი თანხით მოხდება. ენერგო-პრო ჯორჯია მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული ინვესტიციების განხორციელებას გეგმავს, იმისთვის რომ გაზარდოს მიწოდების ხარისხი, შეამციროს დანახარჯები და აწ უკვე ყოფილი კახეთის ენერგოდისტრიბუცია მომგებიან, მაღალი ხარისხის სადისტრიბუციო მომსახურების მიმწოდებლად აქციოს.

ელექტროენერგიის გამომუშავება, მოხმარება და ექსპორტი

შიდა მოხმარება ივნისში წლიურად 3.1%-ით არის გაზრდილი, 2017 წლის პირველ ნახევარში კი 6.9%-ით. გამანაწილებელი ლიცენზიანტების მოხმარება ივნისში წლიურად 2.9%-ით გაიზარდა: ენერგო-პროს აბონენტთა მოხმარება წლიურად 4.3%-ით, კახეთის ენერგოდისტრიბუციის კი 6.3%-ით გაიზარდა. თელასის აბონენტთა მოხმარება წლიურად 0.2%-ით შემცირდა. აფხაზეთის რეგიონის მოხმარება ივნისში წლიურად 1.3%-ით გაიზარდა და ქვეყნის მოხმარების 9.3% შეადგინა. პირდაპირი მომხმარებლების მიერ გამოყენებული ელექტროენერგიის მოცულობა წლიურად 5.6%-ით გაიზარდა, რაც ჯორჯიან მანგანეზის ელექტროენერგიის მოხმარების 10.3%-იანი ზრდით იყო გამოწვეული.

ელექტროენერგიის ექსპორტი ივნისში წლიურად 8.6%-ით გაიზარდა და 230.1 გვტ.სთ-ს შეადგინა. 2017 წლის პირველი ნახევრის ჯამური ექსპორტი 7.4%-ითაა გაზრდილი. თურქეთში ელექტროენერგიის ექსპორტი შემცირდა 38.8%-ით, თუმცა საკმაოდ მაღალი იყო წინა წლის ბაზა (+23.1% წ/წ). თურქეთში ექსპორტმა ჯამური ელექტროენერგიის ექსპორტის 28.3% შეადგინა, უმსხვილესი ექსპორტიორები კი 89.0 მგვტ.-იანი ფარავან ჰესის მფლობელი, საქართველო ურბან ენერჯი (58.0%) და 47.5 მგვტ.-იანი ხელვაჩაური ჰესის მფლობელი კომპანია, აჭარ ენერჯი 2007 (26.2%) იყვნენ. თურქეთის მიმართულებით 5.1 გვტ.სთ.-ის მოცულობის (ჯამურის 8.0%) ექსპორტი განახორციელა ესკომაც, აზერბაიჯანიდან 2012 წელს განხორციელებული იმპორტის სანაცვლოდ. სომხეთის მიმართულებით ექსპორტი წლიურად 2.3%-ით შემცირდა და ჯამური ექსპორტის 18.4% შეადგინა. სომხეთში ექსპორტი გაიყო საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკულ კორპორაციასა (60.3%) და ესკოს (39.7%) შორის. ამ უკანასკნელმა ექსპორტი განახორციელა 2017 წლის თებერვალი-აპრილის პერიოდში სომხეთიდან იმპორტირებული ელექტროენერგიის სანაცვლოდ. რუსეთის მიმართულებით ექსპორტი გაორმაგდა (+98.2% წ/წ) და ჯამური ექსპორტის დაახლოებით ნახევარი (53.3%) შეადგინა. ესკო ერთადერთი ექსპორტიორი იყო ამ მიმართულებით. რუსეთის მიმართულებით ექსპორტის ზრდის მიზეზია თვის მეორე ნახევარში გენერაციის მოულოდნელი სიჭარბე და სხვა ბაზრების მოუქნელობა იმპორტის მიმართ მოკლევადიანი გაფრთხილებით. ჯამურად, ივნისის თვეში ექსპორტის 63.4% განახორციელა ესკომ.

გრაფიკი 3: ელექტროენერგიის მოხმარება და ექსპორტი, გვტ.სთ.



წყარო: ესკო

გრაფიკი 4: განაწილების ლიცენზიანტების მოხმარება, გვტ.სთ.



წყარო: ესკო

ჰიდროგენერაციამ თითქმის სრულად დააკმაყოფილა ელექტროენერგიაზე მოთხოვნა და მთლიან მიწოდებაში 99.1% შეადგინა. ახალი ქარის ელექტროსადგურის გამომუშავების წილი მთლიან მიწოდებაში 0.8% იყო. ივნისის თვეში ადგილობრივი გენერაციის 20.9% გავიდა ექსპორტზე. ჯამური ჰიდროგენერაცია გაიზარდა მხოლოდ 3.4%-ით. დერეგულირებული სადგურების ჯამური წარმოება გაზრდილია წლიურად 22.7%-ით, რაც ამ კატეგორიაში 2016 წლის ბოლოს დამატებული მსხვილი ჰიდროსადგურების (108.0 მგვტ. დარიალი და 47.5 მგვტ. ხელვაჩაური) ინტეგრირების შედეგია. ამავდროულად, ენგურის და ვარდნილის წარმოება გაიზარდა 1.8%-ით, ხოლო დანარჩენი რეგულირებული სადგურების წარმოება შემცირდა 1.8%-ით. გარანტირებული სიმძლავრის საფასური განახევრდა (-50.5% წ/წ) და 0.39 აშშ ცენტი შეადგინა კვტ.სთ.-ზე. გარანტირებული სიმძლავრის საფასურის შემცირება განპირობებული იყო ახალი გარდაბნის თბოსადგურის და მე-3 ბლოკის სარემონტო სამუშაოებით მთელი თვის განმავლობაში, რომლის დროსაც მათ არ ერიცხებოდათ გარანტირებული სიმძლავრის საფასური. დანარჩენმა სამმა შესაბამისი სტატუსის მქონე თბოსადგურმა გარანტირებული სიმძლავრე ქსელს მთელი თვის განმავლობაში მიაწოდეს.

გრაფიკი 5: ელექტროენერგიის გამომუშავება, იმპორტი და მოხმარება, გვტ.სთ.



წყარო: ესკო

გრაფიკი 6: ჰეს-ების გამომუშავება, გვტ.სთ.



წყარო: ესკო

ელექტროენერგიის ფასები საქართველოსა და თურქეთში

2017 წლის ივნისში ელექტროენერგიის საბალანსო ფასი საქართველოში 5.0%-ით გაიზარდა და კვტ.სთ.-ზე 5.1 აშშ ცენტი შეადგინა. საბალანსო ბაზარზე ჯამური მიწოდებული ელექტროენერგიის მხოლოდ 4.8% ივაჭრებოდა, დანარჩენი ვაჭრობა კი ორმხრივი ხელშეკრულებების საფუძველზე მოხდა. რუსეთში ელექტროენერგიის დაბალ ფასებში ექსპორტის შედეგად, ექსპორტის საშუალო ფასი ივნისში მნიშვნელოვნად შემცირდა, თუმცა ციფრების დასაზუსტებლად დამატებითი ინფორმაცია გვესაჭიროება. ივნისში საშუალო საბაზრო ფასი თურქეთში წლიურად 17.0%-ით შემცირდა და კვტ.სთ.-ზე 4.3 აშშ ცენტს გაუტოლდა, რაც 14.9%-ით დაბალი იყო საქართველოში საბალანსო ელექტროენერგიის ფასზე.

გრაფიკი 7: ელექტროენერგიის ფასები საქართველოსა და თურქეთში, აშშ ცენტი კვტ.სთ.-ზე



წყარო: ესკო, EPIAS

ცხრილი 1: ელექტროენერგიის ბალანსი (გვტ.სთ)

	ივლ-16	აგვ-16	სექ-16	ოქტ-16	ნოემ-16	დეკ-16	იან-17	თებ-17	მარ-17	აპრ-17	მაის-17	ივნ-17	2016	6თ17
შიდა მოხმარება	**898**	**906**	**789**	**883**	**967**	**1,162**	**1,085**	**1,012**	**1,019**	**933**	**856**	**870**	**11,007**	**5,775**
წლიური ზრდა	*7%*	*8%*	*4%*	*13%*	*11%*	*14%*	*7%*	*13%*	*8%*	*8%*	*1%*	*3%*	*6%*	*7%*
აფხაზეთის რეგიონი	110	117	110	142	196	254	252	234	205	171	132	102	1,927	1,097
წლიური ზრდა	*9%*	*12%*	*17%*	*24%*	*10%*	*9%*	*7%*	*20%*	*7%*	*14%*	*8%*	*1%*	*7%*	*10%*
კვალიფიციური საწარმოები	113	83	64	75	81	123	107	113	129	128	95	131	1,209	703
წლიური ზრდა	*13%*	*11%*	*-13%*	*-2%*	*-4%*	*44%*	*18%*	*25%*	*12%*	*5%*	*-27%*	*6%*	*-1%*	*5%*
სადისტრიბუციო კომპანიები	675	706	615	666	690	785	726	666	685	634	629	637	7,872	3,976
წლიური ზრდა	*6%*	*7%*	*4%*	*13%*	*14%*	*13%*	*6%*	*9%*	*8%*	*7%*	*6%*	*3%*	*7%*	*5%*
ენერგო-პრო ჯორჯია	417	434	375	405	407	455	413	381	410	390	393	399	4,740	2,385
წლიური ზრდა	*1%*	*0%*	*-1%*	*8%*	*10%*	*8%*	*3%*	*10%*	*9%*	*6%*	*6%*	*4%*	3%	6%
თელასი	230	240	213	231	253	297	281	256	246	216	209	211	2,789	1,420
წლიური ზრდა	*18%*	*22%*	*17%*	*25%*	*22%*	*21%*	*11%*	*8%*	*8%*	*9%*	*7%*	*0%*	15%	*7%*
კახეთის ენერგო დისტრიბუცია	29	32	28	30	30	33	32	28	29	27	27	28	343	171
წლიური ზრდა	*-3%*	*6%*	*2%*	*5%*	*6%*	*6%*	*8%*	*5%*	*7%*	*8%*	*6%*	*6%*	2%	*7%*
ადგილობრივი გენერაცია	**1,061**	**957**	**798**	**907**	**998**	**1,186**	**955**	**809**	**741**	**817**	**1,093**	**1,138**	**11,574**	**5,553**
წლიური ზრდა	*2%*	*11%*	*3%*	*14%*	*18%*	*27%*	*-1%*	*0%*	*-12%*	*-7%*	*2%*	*4%*	*7%*	*-2%*
ჰიდროსადგურები	1,060	894	640	653	642	682	564	362	544	722	1,085	1,128	9,329	4,404
წლიური ზრდა	*5%*	*17%*	*26%*	*22%*	*17%*	*12%*	*-10%*	*-33%*	*-22%*	*-1%*	*1%*	*3%*	*10%*	*-7%*
თბოსადგურები	1	63	159	254	354	497	385	442	188	86	0	1	2,235	1,102
წლიური ზრდა	*-96%*	*-34%*	*-41%*	*-1%*	*19%*	*51%*	*14%*	*62%*	*26%*	*-40%*	*N/A*	*-76%*	*-6%*	*21%*
ქარის სადგურები	-	-	-	-	2	7	7	6	9	9	8	9	9	47
წლიური ზრდა	*N/A*	*N/A*	*N/A*	*N/A*	*N/A*	*N/A*	*N/A*	*N/A*	*N/A*	*N/A*	*N/A*	*N/A*	*N/A*	*N/A*
იმპორტი	5	10	24	17	13	33	179	250	311	147	2	0	479	888
წლიური ზრდა	*298%*	*-73%*	*-47%*	*-71%*	*-85%*	*-73%*	*92%*	*106%*	*134%*	*493%*	*-41%*	*-100%*	*-32%*	*136%*
ექსპორტი	130	27	0	0	0	0	1	0	0	0	200	230	559	431
წლიური ზრდა	*-22%*	*13%*	*N/A*	*N/A*	*N/A*	*N/A*	*N/A*	*N/A*	*N/A*	*N/A*	*5%*	*9%*	*-15%*	*0.07*
წმინდა ექსპორტი	**124**	**17**	**(24)**	**(17)**	**(13)**	**(33)**	**(178)**	**(250)**	**(311)**	**(146)**	**199**	**230**	**80**	**(457)**
ტრანზიტი	88	139	101	131	131	134	10	16	4	5	4	-	850	39
წლიური ზრდა	*N/A*	*N/A*	*N/A*	*N/A*	*N/A*	*N/A*	*N/A*	*-49%*	*-84%*	*-90%*	*N/A*	*N/A*	*N/A*	*-69%*

წყარო: ესკო

მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი მკაცრად კონფიდენციალურია და მომზადებულია სს "გალტ ენდ თაგარტის" ("Galt & Taggart") მიერ, რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყევობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, ამ დოკუმენტის სარგებლიანობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევით. შედეგად, ინვესტორებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ეს დოკუმენტი კონფიდენციალურია გალტ ენდ თაგარტის კლიენტებისთვის და კვლევითი მასალების გამომწერებისთვის. ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელნი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

საინვესტიციო კვლევების დეპარტამენტის ხელმძღვანელი
ნინო პაპავა | n.papava@gt.ge

ეკონომისტი
ევა ბოჭორიშვილი | evabochorishvili@gt.ge

ეკონომისტი
ლაშა ქავთარაძე | lashakavtaradze@gt.ge

ანალიტიკური განყოფილების უფროსი
გიორგი ირემაშვილი | giremashvili@gt.ge

ანალიტიკოსი
მარიამ ჩახვაშვილი | mchakhvashvili@gt.ge

ანალიტიკოსი
ბაჩანა შენგელია | bshengelia@gt.ge

ანალიტიკოსი
კახაბერ სამყურაშვილი | ksamkurashvili@gt.ge

ანალიტიკოსი
იოსებ ქუმსიშვილი | ikumsishvili@gt.ge

გალტ ენდ თაგარტი
მისამართი: აღმაშენებლის გამზირი 79, თბილისი, 0102, საქართველო
ტელ: + (995) 32 2401 111
ელ. ფოსტა: research@gt.ge